თასი

“დინამო” (თბილისი) – “დინამო” (ბათუმი)

გუშინ ლ. პ. ბერიას სახელობის “დინამოს” სტადიონზე სსრკ თასის მორიგი მატჩის ჩასატარებლად შეხვდნენ თბილისისა და ბათუმის “დინამოს” ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები. პირველი ტაიმი აღინიშნა მწვავე ბრძოლით. ტემპიანი და თავდაუზოგავი თამაშით არაერთგზის კრიტიკული მომენტები იქმნებოდა მოწინააღმდეგეთა საჯარიმო მოედნებზე, მაგრამ თამაშის 33-ე წუთამდე ანგარიში არ გახსნილა.

33-ე წუთზე პაიჭაძეს ზუსტი კუთხური დარტყმით შორიდან გააქვს პირველი ბურთი, ხოლო 38-ე წუთზე კი ხარბედიას. პირველი ტაიმი დამთავრდა ანგარიშით – 2:0 თბილისელთა სასარგებლოდ.

თამაშის მეორე ნახევარში თითოეული გუნდის თავდამსხმელებმა გაიტანეს სამ-სამი ბურთი. მატჩი დამთავრდა თბილისის “დინამოს” სასარგებლოდ, ანგარიშით – 5:3. ამგვარად, ბათუმის “დინამო” გავიდა სსრკ თასის გათამაშებიდან.

ვ. გ–ლია.
“ახალგაზრდა კომუნისტი”, 15 აგვისტო, 1939 წ.